სსიპ-ივანეჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე
ასისტენტ პროფესორების სამსახურში მისაღებად

რექტორის 2019 წლის 19 მაისის ბრძანება №108/01–01 საფუძველზე მათემატიკის დეპარტა-მენტის „ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკის " კათედრაზე და „მათემატიკური ანალიზის" კათედრაზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 ივნისის№ 63/2019 დადგენილების 1 პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

შემაჯამებელი ოქმი N 1

თბილისი, 2 ივლისი, 2019 , 14:30 სთ.

სხდომას კომისიის 5 წევრიდან ესწრებოდა 5: პროფესორი თამაზ თადუმაძე (კომისიის თავმჯდომარე);პროფესორი უშანგი გოგინავა(კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); ასოცი-რებული პროფესორი ქეთევან შავგულიძე (კომისიის მდივანი); პროფესორი ელიზბარ ნადარაია; პროფესორი როლანდ ომანაძე.

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტის „მათემატიკური ანალიზის" (1 ადგილი) და „ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკის " (2 ადგილი) კათედრაზე ასისტენტ პროფესორის ვაკანსიაზე გამოცხა-დებულ კონკურსში შეფასების პირველი და მე-2 ეტაპების შედეგების განხილვა და კონკურსის გამარჯვებულთა გამოვლენის მიზნით გადაწყვეტილების მიღება.

2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის თამაზ თადუმაძის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ ორივე ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ. მან აღნიშნა, რომ თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 ივნისის № 63/2019 დადგენილების 1 პუნქტის საფუძველზე შექმნილ კომისიას საკო-ნკურსო დოკუმენტაციის მიმღებმა აპარატმა, კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით, გადმოსცა კონკურსში მონაწილეობის მსურველ პირთა შემოტანილი საკონკურსო დოკუმენტაცია დალუქული სახით. საკონკურსო დოკუმენტაციის ლუქებისა და შეფუთვის სიმთელე დარღვეული არ იყო. კონკურსანტების შეფასება მოხდა 2 ეტაპად.

საკითხი 1.
ა) მათემატიკური ანალიზის კათედრის კონკურსანტი **რუსუდან მესხია.**
მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის თამაზ თადუმაძის ინფორმაცია. მან მიმოიხილა კონკურსანტის დოკუმენტაცია და გასაუბრების შედეგები.

შეფასების I კატეგორია: კონკურსანტის რუსუდან მესხიას განათლება აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი , სანსახურეობრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და **აკმაყოფილებს მოთხოვნებს.**
შეფასების II კატეგორიაში- გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან კონკურსანტმა მიიღო შეფასება-**მაღალი,** რადგან კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება, სტაჟი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა, მის მიერ წასაკითხად შემოთავაზებული და წაკითხული კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია; წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ–ში დადგენილ მოთხოვნებს.
შეფასების III კატეგორიაში-კონკურსანტმა მიიღო შეფასება **-მაღალი ,** სტატია იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში–1 , სხვა მნიშვნელოვანი სტატიები–8, მათ შორის პოპულარული სტატიები–3; ციტირების ინდექსი - h - ინდექსი - 1, g-ინდექსი–5; მოხსენებები საერთაშორისო კონფერენციებზე–5; კომისიისთვის შესაფასებლად წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია შესრულებულია მაღალ დონეზე და შესაბამისობაშია დარგთან; სამოტივაციო წერილში გამოთქმულია სურვილი, რომ მან გააგრძელოს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა.
შეფასების IV კატეგორიაში-კონკურსანტმა მიიღო შეფასება **-საშუალო** , კონკურსანტმა იცის უცხო ენები და კომპიუტერული პროგრამები .

კომისიამ პრეტენდენტს მიანიჭა პრეტენდენტის სტატუსი და პრეტენდენტი გადავიდა შეფასების მეორე ეტაპზე-**გასაუბრებაზე**.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტი სამუშაო გამოცდილებით და პროფესიული უნარ-ჩვევებით შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას.
მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის 5 წევრმა.
კენჭისყრის შედეგები: მომხრე-5, წინააღმდეგი-0.

დაადგინეს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის „მათემატიკური ანალიზის“ კათედრის ასისტენტ პროფესორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის გამარჯვებულად გამოვლინდა: **რუსუდან მესხია.**

ბ) „ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკის “ კათედრის კონკურსანტი **პეტრე ბაბილუა.**

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის თამაზ თადუმაძის ინფორმაცია. მან მიმოიხილა კონკურსანტის დოკუმენტაცია და გასაუბრების შედეგები.
შეფასების I კატეგორია: კონკურსანტის პეტრე ბაბილუას განათლება აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი , სანსახურეობრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და **აკმაყოფილებს მოთხოვნებს.**
შეფასების II კატეგორიაში- გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან კონკურსანტმა მიიღო შეფასება-**მაღალი,** რადგან კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება, სტაჟი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა, ტრენინგები უცხოეთში ვაკანსიის პროფილის შესაბამისია; შეფასების ფორმის 2.4 პუნქტთან (სასწავლო კურსების დასახელება, რომელთა წაკითხვა შეუძლია კონკურსანტს) დაკავშირებით კომისიამ გააკეთა შემდეგი კომენტარი: ამ პუნქტის შევსება ანკეტაში პ. ბაბილუას , სამწუხაროდ , გამორჩა. ანკეტისა და სილაბუსების დეტალურმა გაცნობამ კომისია ერთსულოვნად

მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ პ. ბაბილუასთვის ამ პუნქტის შევსება არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა. კომისიას მიაჩნია, რომ პ. ბაბილუა არის მაღალი კვალიფიკაციის ლექტორი და მას სავსებით ხელეწიფებოდა კომისიის მიერ მითითებული კურსების წაკითხვა (იხ. შეფასების ფორმა, პუნქტი 2.4), რომლებსაც იგი ადრეც კითხულობდა თსუ საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში. გასაუბრების შემდეგ კომისია დარწმუნდა თავისი კომენტარის სისწორეში. გასაუბრებაზე კომისია დარწმუნდა თავის კომენტარის სისწორეში, რომ შემოთავაზებული და წაკითხული კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ–ში დადგენილ მოთხოვნებს. კონკურსანტი არის სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი-საქართველოს მათემატიკის და სტატისტიკის ლექტორი.

შეფასების III კატეგორიაში-კონკურსანტმა მიიღო შეფასება **-მაღალი** (სტატია იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში -17 , სხვა მნიშვნელოვანი სტატიები-26); მონაწილეობა საერთაშორის და ადგილობრივ კონფერენციებში (30); ციტირების ინდექსი - ... ; h - ინდექსი - 3...; g-ინდექსი–4. კომისიისთვის შესაფასებლად წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია შესრულებულია მაღალ დონეზე და შეესაბამისობაშია დარგთან; საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტებში მონაწილეობა–4; აქვს თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან. სამოტივაციო წერილში გამოთქმულია სურვილი, რომ მან გააგრძელოს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა.

შეფასების IV კატეგორიაში-კონკურსანტმა მიიღო შეფასება **-მაღალი** , რადგანაც აქვს უნარი სტუდენტის ხელმძღვანელობის , შეუძლია ახალგაზრდათაობის დაინტერესება თსუ–ში სწავლით ; აქვს კომპიუტერთან მუშაობის უნარები, ენების ცოდნა. იგი ხელს შეუწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას, თსუ–ის შემდგომ წინსვლას და განვითარებას .

კომისიამ პრეტენდენტს მიანიჭა პრეტენდენტის სტატუსი და პრეტენდენტი გადავიდა შეფასების მეორე ეტაპზე-**გასაუბრებაზე**.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტი სამუშაო გამოცდილებით და პროფესიული უნარ-ჩვევებით შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას.
მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის 5 წევრმა.
კენჭისყრის შედეგები: მომხრე-5, წინააღმდეგი-0.

დაადგინეს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის „ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკის " კათედრის ასისტენტ პროფესორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის გამარჯვებულად გამოვლინდა: **პეტრე ბაბილუა.**

გ) „ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკის " კათედრის კონკურსანტი **ზაზა ხეჩინაშვილი.**

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის პროფესორ თამაზ თადუმაძის ინფორმაცია. მან მიმოიხილა კონკურსანტის დოკუმენტაცია და გასაუბრების შედეგები.

შეფასების I კატეგორია: კონკურსანტის პეტრე ბაბილუას განათლება აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი , სანსახურეობრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და **აკმაყოფილებს მოთხოვნებს.**

შეფასების II კატეგორიაში- გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან კონკურსანტმა მიიღო შეფასება-**მაღალი,** რადგან კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება, სტაჟი, სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობა, მის მიერ წაკითხული კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. შემოთავაზებული კურსები და წაკითხული კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ–ში დადგენილ მოთხოვნებს. 2014 წელს **ზაზა ხეჩინაშვილს** მიენიჭა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საუკეთესო პედაგოგის წოდება. კონკურსანტი არის სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი-საქართველოს მათემატიკის და სტატისტიკის ლექტორი .

შეფასების III კატეგორიაში-კონკურსანტმა მიიღო შეფასება **-მაღალი** (სტატია იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში -2 , სხვა მნიშვნელოვანი სტატიები-26); ციტირების ინდექსი - ... ; h - ინდექსი 3. მონაწილეობა საერთაშორის და ადგილობრივ კონფერენციებში–17 ; კომისიისთვის შესაფასებლად წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია შესრულებულია მაღალ დონეზე და შეესაბამისობაშია დარგთან; საგრანტო პროექტები–1; სამოტივაციო წერილში გამოთქმულია სურვილი, რომ მან გააგრძელოს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა.

შეფასების IV კატეგორიაში-კონკურსანტმა მიიღო შეფასება **-მაღალი** , მას გავლილი სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი-საქართველოს (SDSU-Georgia) სამენტორო პროგრამა. იყო საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი. შეუძლია ახალგაზრდა თაობის დაინტერესება თსუ –ში სწავლით ; აქვს კომპიუტერთან მუშაობის უნარები, ენების ცოდნა. იგი ხელს შეუწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას, თსუ–ის შემდგომ წინსვლას და განვითარებას .

კომისიამ პრეტენდენტს მიანიჭა პრეტენდენტის სტატუსი და პრეტენდენტი გადავიდა შეფასების მეორე ეტაპზე-**გასაუბრებაზე**.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა რომ პრეტენდენტი სამუშაო გამოცდილებით და პროფესიული უნარ-ჩვევებით შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას.
მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის 5 წევრმა.
კენჭისყრის შედეგები: მომხრე-5, წინააღმდეგი-0.

დაადგინეს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის „ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკის " კათედრის ასისტენტ პროფესორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის გამარჯვებულად გამოვლინდა: **ზაზა ხეჩინაშვილი.**

საკითხი 2. კომისიამ იმსჯელა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ №118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის თანახმად ერთხმად

დაადგინა: შემაჯამებელი ოქმი დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის თავმჯდომარე: თამაზ თადუმაძე

კომისიის წევრები:

უშანგი გოგინავა (თავმჯდომარის მოადგილე)

ქეთევან შავგულიძე (კომისიის მდივანი)

ელიზბარ ნადარაია

როლანდ ომანაძე